თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 6 დეკემბრის სხდომის

ოქმი № 12

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 6 დეკემბერს

შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 30 წევრი

სხდომას ესწრებოდა 23 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი

1. კლასტერული აკრედიტაციისთვის ტურიზმის საბაკალავრო, ტურიზმის სამაგისტრო (ერთობლივი), ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

2. კლასტერული აკრედიტაციისთვის ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაში "ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვა" ცვლილებების შეტანის (ტექნიკური ხარვეზის შესწორების) შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

3. კურსდამთავრებულებისთვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

4. ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის არჩეული თავმჯდომარისა და მდივნის დამტკიცების შესახებ
   /საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა მანანა ლობჟანიძემ მოითხოვა დღის წესრიგში საკითხის დამატება:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

გაიმართა კენჭისყრა,
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, წარმოდგენილი დღის წესრიგი ცვლილების გათვალისწინებით:

1. კლასტერული აკრედიტაციისთვის ტურიზმის საბაკალავრო, ტურიზმის სამაგისტრო (ერთობლივი), ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

2. კლასტერული აკრედიტაციისთვის ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაში "ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვა" ცვლილებების შეტანის (ტექნიკური ხარვეზის შესწორების) შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

3. კურსდამთავრებულებისთვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

4. ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის არჩეული თავმჯდომარისა და მდივნის დამტკიცების შესახებ
   /საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

5 .ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ
   /დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

6. მიმდინარე საკითხები

ხარისხის სამსახურის უფროსის პროფესორ ლ.საბაურის ავადმყოფობის გამო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები საბჭოს წარუდგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ასოცირებულმა პროფესორმა ი. ნაცვლიშვილმა

მოისმინეს: კლასტერული აკრედიტაციისთვის ტურიზმის საბაკალავრო, ტურიზმის (ერთობლივი) სამაგისტრო, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი ი. ნაცვლიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ასოცირებულმა პროფესორმა ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა კლასტერული აკრედიტაციისთვის ტურიზმის საბაკალავრო, ტურიზმის (ერთობლივი) სამაგისტრო, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები (ცვლილებები გასაცნობად წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა გ. ღაღანიძემ, ი. ხელშვილმა, ა. სილაგაძემ, ე. მექვაბიშვილმა, ნ. თოდუა, ასოცირებულმა პროფესორებმა ნ. ხარაძემ, ნ. კაციტაძემ.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი –0

დაადგინეს: დამტკიცდეს კლასტერული აკრედიტაციისთვის ტურიზმის საბაკალავრო, ტურიზმის (ერთობლივი) სამაგისტრო, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: კლასტერული აკრედიტაციისთვის ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაში ,,ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვა" ცვლილებების შეტანის (ტექნიკური ხარვეზის შესწორების) შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ასოცირებული პროფესორი ი. ნაცვლიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ასოცირებული პროფესორმა ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა კლასტერული აკრედიტაციისთვის ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაში ,,ეროვნული უსაფრთხოების

პოლიტიკის საჯარო მართვა“ განსახორციელებელი ცვლილებები (ცვლილებები გასაცნობად წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს).

ცვლილება შედის „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილების დანართში #311, კერძოდ:
დაზუსტდა პროგრამის სახელწოდება და აღმოიფხვრა ტექნიკური ხასიათის უზუსტობით გამოწვეული განსხვავება პროგრამის სახელწოდების ქართულ დ ინგლისურ ვარიანტებს შორის: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად ნაცვლად „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვა“ განისაზღვრა **„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“**.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,
კენჭისყრის შედეგები: მომხრე –23
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს კლასტერული აკრედიტაციისთვის ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაში ,,ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვა“ წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ასოცირებული პროფესორი ი. ნაცვლიშვილი/

ასოცირებულმა პროფესორმა ია ნაცვლიშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№31658/29, 01.12.2022), საიდანაც ირკვევა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა (წერილი №30699/10, 21.11.2022) მოითხოვა ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის და სამართლის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ სოფიო ვარდანაშვილის დიპლომის დანართის მომზადება. კურსდამთავრებულისთვის დიპლომის დანართის მოსამზადებლად საჭირო გახდა მისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირება.

წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **სოფიო არჩილის ასული ვარდანაშვილი** 2000 წელს ტესტირების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის I

კურსზე საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესი და სამართლის სპეციალობაზე (ბრძანება №4/643, 12.07.2000).

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესი და სამართლის სპეციალობის 2004-2005 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ სოფიო ვარდანაშვილს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის და სამართლის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 27 ივნისის საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №4) გადაწყვეტილებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სპეციალობით მენეჯერის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 4 აგვისტოს №4/711 ბრძანებით მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №000867 (სარეგისტრაციო №01/641) რეგისტრირებულია სოფიო ვარდანაშვილის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სოფიო ვარდანაშვილი 2001 წელს ჩაირიცხა (შენიშვნა: ჩარიცხვის წელში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი. კურსდამთავრებული თსუ რექტორის ბრძანებით (№4/643, 12.07.2000) თსუ-ში ჩაირიცხა 2000 წელს) და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესი და სამართალი. ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით სოფიო ვარდანაშვილს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მენეჯერის კვალიფიკაცია."

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 27 ივნისის (შემაჯამებელი ოქმი №4) გადაწყვეტილებით სოფიო ვარდანაშვილისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში თსუ რექტორის ბრძანებით (№4/711, 4.08.2005) მინიჭებულ ხარისხთან.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა დამატებით მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მიჯნაზე - 2004 წლის

ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესი და სამართალი“ სპეციალობის კურსდამთავრებულთ ენიჭებოდათ **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თსუ რექტორის (№4/711, 4.08.2005) ბრძანების შესაბამისად უნდა შესწორდეს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საბანკო-საფინანსო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 27 ივნისის სააატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი და ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“** კურსდამთავრებულებს უნდა მიენიჭოთ **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“**.

ასოცირებულმა პროფესორმა ია ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა თხოვნით, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის და სამართლის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს სააატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №4, 27.06.2005) გადაწყვეტილებით **სოფიო ვარდანაშვილისთვის** მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი თსუ რექტორის 2005 წლის 4 აგვისტოს №4/711 ბრძანებასთან და კურსდამთავრებულის სახელზე გაცემულ დიპლომში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სპეციალობის კურსდამთავრებულ სოფიო ვარდანაშვილს მინიჭებული „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“. აღნიშნული ცვლილება კი გავრცელდეს წარმოდგენილ ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის და სამართლის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს სააატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №4, 27.06.2005) გადაწყვეტილებაში:

საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სპეციალობის კურსდამთავრებულ სოფიო ვარდანაშვილს მინიჭებული **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“**.

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის და სამართლის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმში (№4, 27.06.2005) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე. ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ასოცირებული პროფესორი ი. ნაცვლიშვილი/

ასოცირებულმა პროფესორმა ია ნაცვლიშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი, (№31659/29, 01/12/2022) საიდანაც ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№31259/10, 28.11.2022) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულ ლევან გუგუშვილის დიპლომის დანართი ცნობის სახით შეფასებების, საათებისა და კრედიტების რაოდენობის მითითებით. კურსდამთავრებულისთვის დიპლომის დანართის მოსამზადებლად საჭირო გახდა მისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირება.

წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ლევან ჯუმბერის ძე გუგუშვილი** 1999 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/732, 5.08.1999).

ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ ლევან გუგუშვილს ეკონომიკის ფაკულტეტის

ფინანსები და საბანკო საქმის (სპეცჯგუფი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 17 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №5) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 17 სექტემბრის №4/1017 ბრძანებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

2003 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით ВН №02942 (სარეგისტრაციო №01/202) რეგისტრირებულია ლევან გუგუშვილის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ლევან გუგუშვილი 1999 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და 2003 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით ლევან გუგუშვილს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

ლევან გუგუშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის (სპეცჯგუფი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№5, 17.06.2003) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/1017, 17.09.2003) მინიჭებულ ხარისხთან. დიპლომის დანართის მოსამზადებლად აუცილებელია აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმში კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის შესწორება მის სახელზე გაცემული დიპლომის შესაბამისად.

ასოცირებულმა პროფესორმა ია ნაცვლიშვილმა თხოვნით მიმართა ფაკულტეტის საბჭოს, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის (სპეცჯგუფი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 17.06.2003) გადაწყვეტილებით ლევან გუგუშვილისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრებულ ლევან გუგუშვილს მინიჭებული **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი,**

ეკონომისტის კვალიფიკაციით“. ამასთან, აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის (სპეცჯგუფი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№5, 17.06.2003) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის (სპეცჯგუფი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 17.06.2003) გადაწყვეტილება და დღის სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრებულ **ლევან გუგუშვილს მინიჭებული „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“.**
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის (სპეცჯგუფი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№5, 17.06.2003) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე. ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის არჩეული თავმჯდომარისა და მდივნის დამტკიცების შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

ეკონომიკისა და ბიზნესის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა გ.ღაღანიძემ საბჭოს გააცნო ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის 2022 წლის 1 დეკემბრის N1 სხდომის დადგენილება: ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი იოსებ ხელაშვილი;
მდივნად ასოცირებული პროფესორი ვალერი არღუთაშვილი.
პროფესორმა გ.ღაღანიძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 1

დაადგინეს: დამტკიცდეს:

1. ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის თავმჯდომარედ პროფესორი იოსებ ხელაშვილი;
2. ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის მდივნად, ასოცირებული პროფესორი ვალერი არღუთაშვილი.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მანანა ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. ბექა ფერაძე - „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე“ მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი
2. ქრისტინა ჯულაყიძე - „გარემოს დაბინძურების შემზღუდველი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. ბექა ფერაძე - „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი
2. ქრისტინა ჯულაყიძე - „გარემოს დაბინძურების შემზღუდველი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე